

## საქნახშირი

### პრესრელიზი

#### „საქნახშირი ჯი-აი-ჯის“ მორიგი სოციალური პროექტი ტყიბულში

ტყიბულში სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახის ბავშვებისთვის კომპანია „საქნახშირმა“ ინგლისური ენის შემსწავლელი გაკვეთილების სწავლება დააფინანსა.



უცხო ენის გაკვეთილები 15-16 წლის ასაკის ოცამდე მოზარდისთვის კვირაში 2-ჯერ ტარდება. პროექტისთვის ტყიბულში საუკეთესო პედაგოგი შეირჩა. სწავლება უახლესი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს. სასწავლო პროექტი ბავშვებისთვის „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფის“ ინიციატივითა და დაფინანსებით ხორციელდება. როგორც კომპანიაში

აცხადებენ, "საქნახშირმა" შიდა კვლევა ჩაატარა ტყიბულში იმ მიზნით რომ დახმარებოდა შეჭირვებულ ოჯახებს, მთავარი აქცენტი ბავშვებზე იყო, მიმართულება კი განათლება. კვლევის შედეგად აღმოჩნდა რომ უმეტესობას ინგლისურის შესწავლა სურდა, მაგრამ საშუალება არ ქონდათ.

„უკვე ერთ თვეზე მეტია 20-მდე, 15-16 წლის მოსწავლე კომპანია "საქნახშირის" მიერ



## საქნახშირი

### პრესრელიზი

დაფინანსებულ ინგლისურის შემსწავლელ გაკვეთილებზე დადის კვირაში ორჯერ ქალაქის საუკეთესო მასაწვლებელთან იმას სწავლობენ რის დანაკლისსაც გრძნობენ და თვლიან რომ ძალიან ჭირდებათ. “-განაცხადა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ჯამბულ ჯაყელმა. უცხო ენის სასწავლო გაკვეთილები განკუთვნილია სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახებისთვის. მოზარდები ენის შესწავლას კომპანიის მიერ სპეციალურად პროექტისთვის შერჩეულ უცხო ენის სერტიფიცირებულ პედაგოგთან ეუფლებიან. პროგრამა ეროვნულ სასწავლო გეგმასაა მორგებული. კომპანია მომავლისთვის ასევე გეგმავს ანალოგიურ სწავლებას სხვა საკისმომზარდებისთვის.

საწყის ეტაპზე პროექტი ერთწლიანია. მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია მხოლოდ სწავლების მსურველებზე. თავის მხრივ კომპანია „საქნახშირი“ მზადყოფნას გამოთქვამს ამ მიმართულებით აქტიური ინვესტორი იყოს და მაქსიმალურად დაეხმაროს ტყიბულის მოსახლეობას.

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა.

კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს ძიმიგურის და მინდელის სახელობის მადაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

